ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტები და საქართველო

ლადო პაპავა

1929 წელს მსოფლიო მოიცვა ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც ცნობილია „დიდი დეპრესიის“ (ინგლ. Great Depression) სახელით. ცნობისთვის, ეკონომისტები „დეპრესიაში“ გულისხმობენ წარმოების მოცულობის მნიშვნელოვან შემცირებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. საყურადღებოა, რომ „დიდი დეპრესია“ ათ წელს გაგრძელდა.

ისტორიული ფაქტია, რომ ეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი 1939 წელს დასრულდა და იმავე წლის 1 სექტემბერს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ეკონომისტები და სოციალურ მეცნიერებათა სხვა სპეციალისტები საფუძვლიანად მიიჩნევენ, რომ ამ ორ გლობალურ მოვლენას შორის კანონზომიერი კავშირია: „დიდი დეპრესიის“ დაძლევა შესაძლებელი იყო სამხარი მოქმედებებისათვის მომზადებისა და დაწყების ხარჯზე, რაც გამოიწვევდა სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების და, ასევე, მასთან დაკავშირებული სხვა დარგების პროდუქციის წარმოების ზრდას – ანუ, სხვა სიტყვებით რომ ავხსნათ, ომი არის ის ქმედითი „ინსტრუმენტი“, რომელიც წარმოების მოცულობის მნიშვნელოვან შემცირებას არა უბრალოდ აჩერებს, არამედ ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნას.

„დიდი დეპრესიის“ შესწავლამ, მისი დამანგრეველი შედეგების გააზრებამ ეკონომისტების და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსების წინაშე დააყენა ამოცანა, რომ შექმნილიყო მსოფლიო მასშტაბის ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც მთლიანად მსოფლიოს თუ მის ცალკეულ რეგიონებსა და ქვეყნებს ააცილებდა ეკონომიკურ კრიზისებს. ამ ამოცანის გადაწყვეტას მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი.

ათასობით უმუშევარი სახელმწიფო შრომის ბიუროსთან, ნიუ-იორკი, 1933

ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების შექმნა

მსოფლიოში საერთაშორისო-საფინანსო მხარდაჭერის ინსტიტუტებისა და მექანიზმების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე დაიწყო. კერძოდ, 1944 წლის 1-22 ივლისს ბრეტონ-ვუდსში (ნიუ-ჰემპშირი, აშშ) ჩატარდა საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კონფერენცია, რომელშიც მსოფლიოს 44 ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობდა. კონფერენციამ მიიღო „დასკვნითი აქტი“, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შესახებ ე.წ. „შეთანხმების მუხლებს“ (“Articles of Agreement”) მოიცავდა. ეს „მუხლები“ წარმოადგენს ამ ორგანიზაციების წესდებებს.

რადგან ეს „შეთანხმება“ ბრეტონ-ვუდსში „გაფორმდა“, ამიტომ ამ ინსტიტუტებს ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტებს უწოდებენ.

1945 წლის 27 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს 29 სახელმწიფომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წესდებების რატიფიკაცია მოახდინა (ანუ ამ დოკუმენტებს შესაბამისმა ორგანომ (როგორც წესი, ეს არის პარლამენტი) იურიდიული ძალა მიანიჭა), ისინი ოფიციალურად ამოქმედდა.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია

ბრეტონ-ვუდსი, ნიუ-ჰემფშირი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაფუძნების სესიაზე სავანაში (აშშ) 1946 წლის მარტში ამ ფონდის საქმიანობის დამარეგულირებელი დამატებითი დადგენილებები მიიღეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩამოყალიბება პრაქტიკულად 1946 წლის შემოდგომისათვის დასრულდა და მან სავალუტო ოპერაციები 1947 წლის 1 მარტიდან დაიწყო.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა თავისი საქმიანობა 1946 წლის 25 ივნისს დაიწყო. მას და მასთან შექმნილ საერთაშორისო განვითარების ასოციაციას მსოფლიო ბანკი დაერქვა. მასში ასევე შევიდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანია მსოფლიოში, მის ცალკეულ რეგიონებსა თუ ქვეყნებში მაკროეკონომიკური სტაბილურობის დამყარება. ცნობისთვის, მაკროეკონომიკური სტაბილურობა – ეს არის ეკონომიკური განვითარება, რომელიც ეფუძნება წარმოების მდგრად ზრდას ფასების სტაბილურობის, უმუშევრობის დაბალი დონის, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის და სხვა პირობებში.

თუკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანია ქვეყნებს დაეხმაროს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და შენარჩუნებაში, მსოფლიო ბანკი მოწოდებულია ხელი შეუწყოს თავის წევრ-ქვეყნებს ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაში, ცალკეული დარგების განვითარებაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წევრი-ქვეყნები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: „დონორები“, „რეციპიენტები“ და „ნეიტრალები“.

„დონორები“ თავისი შენატანებით ამ ორგანიზაციების საფინანსო წყაროებს ქმნიან; „რეციპიენტები“ ამ ორგანიზაციებიდან რეფორმების ჩასატარებლად ფინანსურ დახმარებას იღებენ; „ნეიტრალებს“ კი არ სჭირდებათ (ან უკვე აღარ სჭირდებათ) დახმარება და შესაძლებლობათა სიმწირისა თუ სხვა მიზეზთა გამო არც თავად მონაწილეობენ ამ ორგანიზაციების საფინანსო წყაროების შექმნაში.

„რეციპიენტი“ წევრი-ქვეყნისათვის საფინანსო მხარდაჭერის მისაღებად საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამით მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღ-



საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფისი ვაშინგტონში

მსოფლიო ბანკის ოფისი ვაშინგტონში

წევაა აუცილებელი. ამისათვის კი ამ ქვეყნის ცენტრალური ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან იღებს შეღავათიან, მრავალწლიან კრედიტს, რაც ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვის ზრდას უზრუნველყოფს.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავის „რეციპიენტ“ წევრ-ქვეყანას „მწვანე შუქს“ აუნთებს, მსოფლიო ბანკი მასთან შეთანხმებული ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმების პროგრამის რეალიზებისათვის ამ ქვეყნის მთავრობას ასევე შეღავათიან, მრავალწლიან კრედიტს აძლევს. მსოფლიოში დამკვიდრებული ფინანსური წესრიგის თანახმად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დადებითი პოზიცია აუცილებელია სხვა საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციების მხრიდანაც ქვეყნის მთავრობისათვის საფინანსო მხარდაჭერის (მაგალითად, ევროკავშირის შეღავათიანი კრედიტები ან გრანტები) მისაღებად. ამ მიდგომას იზიარებენ „რეციპიენტი“ ქვეყნის უშუალო „დონორი“ სახელმწიფოებიც (მაგალითად, ნიდერლანდები საქართველოსათვის).

თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიიჩნევს, რომ „რეციპიენტ“ წევრ-ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობა დარღვეულია, იგი ამის გამო საფინანსო დახმარებას შეაჩერებს; ამ დროს მსოფლიო ბანკი მასთან შეთანხმებულ პროგრამას შესრულებულადაც რომ თვლიდეს, იგი მაინც შეაჩერებს ამ ქვეყნისათვის საფინანსო დახმარებას იმ დრომდე, სანამ საერთაშორისო სავალუტო ფონდი გადაწყვეტილებას მიიღებს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად უკვე აღდგენილია მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ამ პრინციპს იზიარებს როგორც ევროკავშირი, ისე უშუალოდ სხვა „დონორი“ ორგანიზაციები და სახელმწიფოებიც.

საბჭოთა კავშირი, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, არ ყოფილა ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების წევრი. დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველო კი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წევრი 1992 წლის მაისიდან გახდა. მას გაწევრიანების საფასური, უსახსრობის გამო, ნიდერლანდების მთავრობამ გადაუხადა.

ეკონომიკა

საქართველოს გამოცდილება

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში პირველად 1991 წლის ნოემბერში ჩამოვიდა. ეს ის დროა, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უკვე გამოცხადებული აქვს, თუმცა საბჭოთა კავშირი ჯერ არ არის დაშლილი. ამ პირველ შეხვედრას ერთმანეთის გაცნობის დატვირთვა ჰქონდა.

ყოველი მომდევნო ჩამოსვლისას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს ხელისუფლებას მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად თავის რეკომენდაციებს უტოვებდა. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების წევრები (ცალკეული გამონაკლისის გარდა), სამწუხაროდ, ამ რეკომენდაციებს და მათ ავტორებს სერიოზულად არ ეკიდებოდნენ, რის შედეგადაც ქვეყანაში საერთოდ მოიშალა საფინანსო სისტემა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ იმ დროს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ხსენებულ შედეგებს ამძიმებდა ომისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელი ქვეყნის საომარ მოქმედებებში მონაწილეობა ჯერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო შემდეგ – აფხაზეთში.

1994 წელს საქართველოს ხელისუფლების შემუშავებული ე.წ. „ანტიკრიზისული პროგრამა“ საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის ურთიერთობის პრინციპულად ახალ დონეზე წარმართვას ედება საფუძვლად; კერძოდ, ამ უკანასკნელის რეკომენდაციები სასურველობის კატეგორიიდან აუცილებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა რანგში გადადის, რასაც თავისი დადებითი ეკონომიკური შედეგები მოაქვს.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოღვაწეობა საქართველოში შეიძლება ორ ეტაპად განვიხილოთ: I ეტაპი – 1991-1994 წწ. და II ეტაპი – 1994 წ.-დან დღემდე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის უმთავრესი დადებითი შედეგი ის არის, რომ საქართველოში საფინანსო სისტემა შეიქმნა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა დამყარდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1995 წელს ფულის რეფორმის ჩატარება და ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღება.

I ეტაპი 1991-1994 წლები

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებს აძლევს, თუმცა ეს უკანასკნელი, „ურჩი ბავშვივით“, მათ არად აგდებს.

II ეტაპი 1994 წლიდან დღემდე

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებისათვის აუცილებლად შესასრულებელი ხდება, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ხშირად ცხოვრებაში ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისთვის არც ადვილი გასატარებელია და არც ყოველთვის მოსაწონი.


H03071334
B24947056
A22129357
DF1637822
19554814
200
2
10
5
1

ზომები საქართველოში საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად, სხვა თანაბარ პირობებში, ძალზე მნიშვნელოვანია განახლებული „დიდი აბრეშუმის გზის“ რეალიზაციისათვის.

ბუნებრივად უნდა იქნეს აღქმული ისიც, რომ არც საერთაშორისო სავალუტო ფონდია დაზღვეული შეცდომებისაგან საზოგადოდ და, კერძოდ, როგორც საქართველოსთან, ისე სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან მიმართებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებული სხვადასხვა შეცდომა სხვადასხვა ბუნებისა და მნიშვნელობისაა. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ შეცდომების ნაწილი საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და ისინი ფონდს არა მარტო საქართველოში მუშაობისას, არამედ სხვა სახელმწიფოებშიც დაუშვია.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სამთავრობო გუნდს, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებების წარმართვა, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე უხდებოდა, პრაქტიკულად ამის არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა, სიღრმისეულად ვერც ფონდის პროცედურებში ერკვეოდა, რითაც ნებსით (სავარაუდოდ, თავისი საქმის გასამარტივებლად) თუ უნებლიეთ (რაც სულაც არ არის გამორიცხული) საკმაოდ ოსტატურად სარგებლობდნენ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ხშირ შემთხვევაში ქვეყნების ისტორიას, კულტურულ და ეროვნულ თავისებურებებს არ ითვალისწინებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში საქმიანობის დასაწყისშივე სწორედ ამ ხასიათის შეცდომამ იჩინა თავი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მისი რჩევა „რუბლის ზონაში“ დარჩენისა და ეროვნული ვალუტის არშემოღების შესახებ, რომელიც მან საქართველოს მთავრობას 1992 წლის თებერვალში მისცა. ძნელია იმის გარკვევა, თუ რა მოტივით ხელმძღვანელობდა ფონდი (უკეთეს შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის რუსეთის ჯერ კიდევ ძლიერი იმპერიალისტური განწყობის მქონე ძალებს სიფრთხილით მოეკიდა, რის გამოც ნგრევადი იმპერიის სავალუტო სივრცის რევოლუციურ რღვევას არ ჩქარობდა), როცა ასეთ რეკომენდაციას იძლეოდა, მაგრამ თუკი გავიხსენებთ, რომ ფონდის ეს რჩევა ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე ვრცელდებოდა, ბალტიის ქვეყნების (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) გარდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფონდისათვის უფრო ადვილი იყო ვალუტის ერთ ემიტენტთან (გამომშვებთან) ემუშავა და არა თორმეტთან,



ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტები

რომ არა თავად რუსეთის მკაცრი ზომები, რომელთა მეშვეობითაც მოსკოვმა რუსული ფულის ბანკნოტების მიწოდება შეუწყვიტა საქართველოს და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, სავარაუდოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავისი დამოკიდებულების შეცვლას „რუბლის ზონის“ მიმართ არ იჩქარებდა. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საკითხი ეროვნული ვალუტის შემოღების აუცილებლობის შესახებ ფონდთან პირველივე შეხვედრისას (1991 წლის ნოემბერს) დასვა: მას საჭირო გათვლები და ბანკნოტებისა და მონეტების ესკიზები წარუდგინა და ფულის რეფორმის მომზადებასა და გატარებაში დახმარება სთხოვა. სამწუხაროდ, ეს თხოვნა არ გაითვალისწინეს.

1993 წელს საქართველო საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღების აუცილებლობას პრაქტიკულად მოუმზადებელი შეხვდა. ეს გარკვეულწილად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებამაც განაპირობა, თუმცა ფონდისთვის ამ პასუხისმგებლობის მთლიანად დაკისრება გამართლებული არ იქნება, რადგან საქართველოს იმდროინდელი მთავრობა, ჯერ ერთი, ფონდის რჩევებს პრაქტიკულად არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მეორე – ის თავად იმყოფებოდა „რუბლის ზონაში“ გარკვეული ვადით დარჩენის ილუზიის ტყვეობაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავისი ეს შეცდომა საქართველოში 1995 წლის შემოდგომაზე „გამოასწორა“ (თუკი შეიძლება ასე ითქვას!), როცა მასთან შეთანხმებული გეგმითა და საფინანსო მხარდაჭერით წარმატებით განხორციელდა ფულის რეფორმა – შემოიღეს ლარი.

მიუხედავად ამ და ზოგიერთი სხვა შეცდომისა, საქართველოს პოზიტიური დამოკიდებულება ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების მიმართ ძალზე მნიშვნელოვანია.

საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ერთადერთი სწორი არჩევანი გააკეთა – არჩევანი ევროპისაკენ, დასავლეთისაკენ. ეს მეტად რთული და ხანგრძლივი გზაა და ამ გზაზე წარმატების მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ევროპულ ფასეულობათა სისტემის ეტაპობრივი დამკვიდრებით არის შესაძლებელი. ასეთი მიდგომა ჩვენი ყოფის ყველა სფეროს და, რა თქმა უნდა, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მოწყობასაც ეხება.

მიუხედავად პერიოდულად დაშვებული შეცდომებისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი რჩება თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე უფრო ავტორიტეტულ საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტად და მას ალტერნატივა არ გააჩნია. შესაბამისად, საერთაშორისო-საფინანსო წესრიგში საქართველომ ამ წესრიგით განსაზღვრული პირობები უნდა შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას ვერ მიიღებს, რაც რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად აგრერიგად გვესაჭიროება. დასავლეთის პოლიტიკური და საფინანსო მხარდაჭერის გარეშე დროებით დაკარგული ტერიტორიებისა და ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე საქართველოსათვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

ცალკეული შეცდომების მიუხედავად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში ჯანსაღი საფინანსო-ეკონომიკური სისტემის შექმნის რეალური ხელშემწყობი და საიმედო საფინანსო გარანტია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და იგი მაშინაც კი ასეთად უნდა დარჩეს, როცა საქართველოს აღარ დასჭირდება ფონდისაგან ფულის სესხება, რადგან ჩვენს ქვეყანას სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყოს, არ გააჩნია.